გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას, თავად-აზნაურთა ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

№ 5.

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში

ვილჰელმ ტელი

(შილლერიდგან)

ი. სანებლიძისა

ფასი სამი შაური.



წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ.

**ნიკოლოზ ბარათაშვილის**

მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ჯერედ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსები, წერილები, ნათარგმნები და სხვა, ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზავნონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს. (5—4)


კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა სთხოვს საბჭოს წევრთ და აგრედვე ყველას, ვინც ქრისტიანობის გავრცელების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდნენ 12 საათზედ 6 ივნისს, ექსარხოსის ეკლესიაში გარდახდილ წირვისა და პარაკლისის შემდეგ, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის სახლში საბჭოს წლიურ კრებაზედ. ამ კრებაზედ, თანხმად საზოგადოების წესდების მე 12 მუხლისა, წაკითხული იქნება საზოგადოების ანგარიში 1892 წლისა, არჩეულ იქმნებიან საბჭოს ახალი წევრნი, მათ მაგიერად, ვისაც სამსახურის 3 წლის ვადა გაუთავდათ; აგრედვე არჩეულ იქმნება კამისია საზოგადოების წასრულ წლის ანგარიშის სარევიზიოდ.

**სახლების აშენების ამხანაგობისაგან**

რადგან იანვარში დანიშნული კრება არ შესდგა, კვირას 6 ივნისს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება „სახლების აშენების ამხანაგობისა“.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ მოქმედებისა წარსულ წილსა.

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და

3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

(5—5)

## რა სჯობია?

ყოველს საარჩევანო ბრძოლაში უთუოდ ორი მხარე არის: მხარე გამარჯვებული და მხარე დამარცხებული. გადაწყდება თუ არა საგანი კამათობისა, შეიქმნება იმისი გამოკვლევა დ განმარტება: ასეთი განაჩენი რად დაადგინა უმრავლესობამ, და არა ისეთიო?

ამასთან, რასაკვირველია, სარჩევ საგანს დაერთვის ის საკითხიც—რად მოხდა, რომ უმრავლესობა ამა-და-ამ აზრის მომხრე შეიქნა და არა მისი წინააღმდეგი, რადგანაც თვალსაჩინოდ სჩანდა, რომ დროშა გამარჯვებულთა სრულიად არ იყო ქვეყნისათვის არც თანაგრძნობის ღირსი და არც გამოსადეგი?

ამ შემთხვევაში ათასი და ათიათასი სხვა გვარისა და ფერის აზრები წარმოითქმება, აზრები ვითომ მეცნიერული, ვითომ პატრიოტული.

მაგრამ ამ ხსენებულ აზრებს და მიმართულებას, მოგვეცეს ნება, სრულიად სხვა სახელი ვუწოდოთ, ის სახელი, რომელიც ნამდვილად გამოჰხატავს აზრს და შინაარსს ზოგიერთთა მოქმედებისას.

ამ მიმართულებას დავარქმევთ ჩვენ ჭახრაკულ მიმართულებას და გვგონია, ეს სიტყვა ზედ გამოჭრილია ყოველთა მათთვის, ვინც არავითარს საშვალებას არ ერიდება, ოღონდ-კი ბურთი და მოედანი დაირჩინონ.

ერთნი ამბობენ: „A la guerre, comme á la guerre“, მეორენი-კი: „fiat justictia, pereat mundus“.

ქართულად რომ ვსთარგმნოთ ეს ორი წინააღმდეგი აზრი, ასე გადმოიღება: „ომში ყველა იარაღი კარგი არისო“ და მეორეც— „ოღონდ-კი სამართლიანობამ გაიმარჯვოს და თუ გინდ ქვა ქვაზედაც ნულარ დარჩებაო“.

ეს ორი, ერთი მეორისაგან ძირეულად განსხვავებული დევიზი, ყოველთვის ყოფილა სადავო და საკამათო საგნად პარტიებ შორის და ამნაირივე სადავო არის დღესაც.

მართლაც და, რა ჰქნას ისეთმა მხარემ, რომელიც სრულიად დარწმუნებულია თავის საბრძოლველ საგნის სიწმინდესა და საჭიროებაზე, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე ყოველს საშუალებას და ღონეს ხმარობს საკამათო საგნის დასამარხავად?!

რა ჰქნას ამ ნაირს მდგომარეობაში ჩავარდნილმა მოსარჩლემ: შეებრძოლოს თავის მოწინააღმდეგესა მარტო იმ ფარხმალით, რომლის გამოჩენა შეიძლება, თუ იხმაროს ყოველი ღონე და ყოველი აღკრძალული და უმართებულო საშუალება, ისეთი საშუალება, როგორსაც ხმარობს იმისი მტერი?!

ეს ფრიად საინტერესო და საჭირო გადასაწყვეტი საგანია, და ჩვენ, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს. ხოლო მკითხველ საზოგადოებისთვის, უთუოდ, საინტერესოდ იქნება, ვისაც რა საბუთი და საფუძველი მოეპოვება რომელისამე ამ აზრის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ, ჯერ ეს მოისმინოს.

ჩვენ მოველით, რომ ამ საგანზედ ნათლად და გადაწყვეტით მოისურვებენ მრავალნი გამოსთქვან თავისი გულ-წრფელი აზრი. ჩვენ გვინდა ერთი რამ შევიტყოთ, შევიტყოთ ის, თუ რომელს წარმოდგენილს ამ წერილში ტეზისს უნდა მიემხროს ადამიანი, რა სჯობია?

„თუ მოყვარეა გულისა, ჰქმნას ჩემკენ მონაზიდობა:
თორემ ის მისთვის, მე ჩემთვის, დია სჯობს კიდის კიდობა“.

მეველე

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, კვირას, 30 მაისს, მოხდა ხელ-მეორედ არჩევანები ქალაქ ტფილისის ხმოსანთა კანდიდატებისა, რადგან 16 მაისის არჩევანები უკანონოდ სცნა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ და გააუქმა. შეიკრიბა სულ 826 ამომრჩეველი. 44 კაცს ჰქონდა რწმუნების ქაღალდები. ამ სახით კენჭის რაოდენობა იყო 870. იდგა ყუთები ისევ იმ 175, რომელთაც უყარეს კენჭი პირველად. ამათში უარი გამოაცხადა 83 კაცმა, არ გვინდა კენჭის ყრაო. ბევრმა ასეთი ქაღალდი მიართვა ქალაქის მოურავს, რადგან 16 მაისის არჩევანებს ისეთი ხასიათი დაეტყო და ისეთი არა სასურველი ტენდენცია დაერთო, რომელიც შესაძლოა ეხლაც არ ასცდეს არჩევანებს, ამიტომ არა გვსურს კენჭი ვიყაროთო. კენჭის ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბ ნ გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა რომელმაც თავი გამოირიცხა ქართველთან. უარი

# ფელეტონი

## „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“!..

(შემდეგი *)

### III

გზა-ტკეცილის პირას მოვაჭრე მედუქნეები, გარდა იმისა, რომ მგზავრთ ვაჭრობაში ტყავს აძრობენ, სხვანაირადაც მოქმედობენ იმათ გასაყვლეფად; არც ერთი გაძარცვა გზაზედ ისე არ მოხდება, რომ მედუქნეები მონაწილეობა არ მიიღონ: ბევრჯერ წაურთმევიათ მგზავრისთვის ფული და ნივთეულობა, და ამაში მედუქნეები, პირველი ადგილი თუ იმათ არა სჭერიათ, დამხმარებელნი მაინც ყოფილან; ბევრჯერ შიგავე დუქანში გაუძარცვამთ დამთვრალი მგზავრი და ვინ იცის, რამდენჯერ სადგურების ახლო ნივთეულობით სავსე ყუთები აუც ... იათ საფოსტო ეტლებით მოგზაურთათვის.

ყველა ეს საიდუმლონი გაანდო მედუქნემ ისაკას, რომელმაც ამაში დიდი გამჭრიახობა და ფხა გამოიჩინა. ამის გამო ისაკა, ჯერ თუ ბიჭად იყო დუქანში, მერე ამხანაგად გაუხდა, და ასე თავე თავეებს გასდევდა, წელიწადი წელიწადებს და ისაკას თანდათან ზურგი უმაგრდებოდა. ამ ხანობაში ისაკამ ცოლიც შეირთო.

როცა ისაკამ ზურგი კარგა მოიმაგრა, თავის ამხანაგს, რომელმაც აღზარდა და გაწრთვნა, ისეთი მოგვერდი უგდო, რომ ცალიერზედ გაიყვანა.

ბევრის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ თავისი გამწრთვნელი ისევ მიიყენა ამხანაგად იმ პირობით, რომ გზის პირას იმას ევაჭრნა და საქმე ეწარმოებინა, წელიწადში რამდენჯერმე მიეცა ისაკასთვის ანგარიში და მოგების ნახევარი ჩაებარებინა; თანხა-კი უკვდავად ისაკასი უნდა დარჩენილიყო.

რაკი გზის პირას ვაჭრობის საქმე ასე მოაწყო, თითონ დაბრუნდა თავის სოფელში და იქ საკუთრივ დუქანი „გაალო“, რომელშიაც დახლიდრად თავისივე გაწრთვნილი ნათესავი დააყენა.

აქედგან იწყება ისაკას ცხოვრების მეორე ხანა და ამასთან ორგვარი მოღვაწეობაც სოფელში, როგორც ვაჭრისა და როგორც იმ საზოგადოების წევრისა, რომელშიაც ის ვაჭრობდა.

ვაჭრები თუ როგორ სძარცვენ სოფლებს, ამაზედ ბევრი თქმულა და დაწერილა. ყველა ამას ჩვენ იმასღა თუ დავუმატებთ, რომ სოფელში მოვაჭრე ერთსა და იმავე ნივთის გასყიდვაში ერთსა და იმავე დროს ორნაირ სარგებელს იღებს. ამის გამოსარკვევად მაგალითს მოვიყვანთ:

ვსთქვათ, ვაჭარს რომელიმე ნივთი, რომელსაც გლეხი ყიდულობს, უღირს სამ შაურად, თითონ-კი, სულ რომ ნაკლები, ცხრა შაურს მაინც გამოართმევს. გლეხმა რომ ქისა გახსნას და ცხრა შაური გადაუთვალოს, მაშინ ვაჭარს სამშაურიან ნივთში ექვსი შაური წმინდა მოგება დარჩება, მაგრამ გლეხს ქისა ცალიერი აქვს და ამისთვის ის თავის ნაწარმოებს მაგ: ხორბალს, ქერს, სიმინდს და სხ. აძლევს ცხრა შაურში იმ ფასად კი არა, როგორც ბაზარში ფასობს, არამედ ნახევარ ფასად. ფუთი ხორბალი რომ თვრამეტ შაურად ღირდეს, ის ცხრა შაურად იღებს, მერე ჰყიდის ხშირად იქავე გლეხზედ თვრამეტ შაურად და ამ გვარად სამშაურიან ნივთში ექვსის შაურის მოგების მაგივრად თხუთმეტ შაურს იგებს.

ისაკა სოფელში სხვა მოვაჭრეებს თუ არ გადააჭარბებდა ამ გვარ მოქმედებაში, უკან არ ჩამორჩებოდა. ის, როგორც ვაჭარი, დღითი დღე ტყავს აძრობდა გლეხებს და მდიდრდებოდა. მაგრამ ისაკას, ვაჭრობის გარდა, გლეხების გასატყავებლად კიდევ სხვა გზაცა ჰქონდა. სხვა ვაჭრები, რომლებიც შეხიზნულან სოფელში, ვაჭრობის გარდა, სოფლის საქმეებში ვერ გარევიან, რადგანაც ისინი იმ საზოგადოების წევრებად არ ითვლებიან. ისაკას საქმე კი-სულ სხვანაირად იყო. ისაკა იმ საზოგადოებაში ვაჭრობდა, რომლის წევრადაც ითვლებოდა, და ამისთვის ნება ჰქონდა გარეულიყო სოფლის ყოველ საქმეში. ასეც მოიქცა ისაკა. თითქმის ყოველ სასოფლო საქეში ძალითა თუ ნებით ისაკა იყო თორმეტ კაცთა რიცხვში, რომელსაც, სხვა მოვალეობათა შორის, სახემწიფო ხარჯის გაწერაც ჰქონდათ მინდობილი; ისაკა იყო მწარმოებელი სასოფლო დავთრებისა, ისაკა იყო მწერალიც, ისაკა აწარმოებდა სხვა ორ კაცთან ერთად სასოფლო მაღაზიასაც. ყრთხნობით მამასახლისადაც იყო ამორჩეული. რასაკვირველია, ისაკასთანა კაცები ამ გარემოებით ისარგებლებდნენ და არც ისაკა აკლებდა. სადაც-კი ისაკამ გამოსარჩენი რამ შენიშნა, იქ დააგო თავისი ფაცერი და დღე-მუდამ გა-

*) იხ. «ივერია», № 111.

სთქვა ქართველთან ერთად ოც-დახუთმა რუსმაც.

აი სია იმათი, ვინც უარი სთქვა, კენჭს არ ვყრითო *)

*აველოვი თ. დ. ი., აგაპევი ნ. ფ., ალიხეგოვი პ. ი., ანდრონიკაშვილი ი. ია., არდაზიანი ა. პ., არჯევანიძე ნ. ი., ახუნდოვი მ. მ., ბაქრაძე ა. ი., ბერელაშვილი ვ. გ., ბილფელდი ლ. პ., ბოლოტინი ნ. მ., ვართაზარიანცი ფ. ია., ვასილევი პ. ს., ვეისენგოფი ს. ა., ვინოკუროვი ი. ა., გაბაევი ვ. ი., გრაბოვსკი ვ. ვ., გოლდბერი ვ. ა., გურამოვი თ. დ. ი., დევდორიანი ნ. ა., დოლინსკი ი. კ., ჟუკი პ. ფ., ზავრიევი ზ. ს., *ზუბალოვი ნ. დ., ისარლოვი მ. პ., ისარლოვი ია. პ., კალანტარი ა. ა., კომლიუხინი ვ. ე., კანდურალოვი პ. გ., ქანანოვი მ. ზ., ქართველოვი გ. გ., ქართველოვი გ. დ., კერერი გ. ია., კონდრატენკო ე. ი., ყორღანოვი ი. მ., კოცოცოვი გ. ა., კუსიკოვი ნ. ს., ლანკო პ. ო., მალხასიანი ს. ს., მაჩაბელი მ. ვ., მიქელაძე თ. ვ. ს., მინეევი ს. ა., მუტაფოვი კ. ა., ნიკოლაძე ნ. ია., ორბელიანი თ. გ. ი., ფავლენოვი თ. დ. ა., პანკრატოვი ე. ვ., პაპკოვი კ. ა., ფერნაძე ს. ს., პლიუშჩევსკი კ. რ., ფოროქოვი დ. ი., პორფირევი ფ. პ., პსაროვი ი. ე., რემიზოვი ს. ფ., რჩეულოვი გ. დ., სავანელი ა. ი., საყვარელიძე გ. პ., სარაჯევი ვ. ა., *სარაჯევი დ. ზ., სკორო-ხოდოვი ნ. პ., თათევოსიანცი ა. მ., თათევოსიანცი ია. ი., ტერ-გრიგორიანცი ა. ი., ტურკოვსკი ა. გ., უთნელოვი ი. დ., ხელაძე ე. ი., ხერხეულიძე თ. ზ. დ., ხუდადოვი ი. დ., ციციანოვი თ. გ. ს., ცხვედაძე ნ. ზ., *ჭავჭავაძე თ. ი. გ., ჩივაძე კ. ა., ჩერქეზოვი თ. ვ. ნ.

მოგვყავს სია იმათიც, ვინც ყუთი დაიდგა გუშინ-წინ, 30 მაისს, და კენჭი იყარა. ამ სიაში ვარსკვლავი ჰნიშნავს, რომ, ვისაც ის უზის, არჩეულ იქმნა ხმოსნად:

*ავთანდილოვი მ. ზ., *აივაზოვი ა. გ., *აკოფოვი ე. მ., *ალიხანოვი ი. მ., *ალიხანოვი ი. ს., *ალიხანოვი კ. მ., *ანანოვი ს. ი., *არღუთინსკი დოლგორუკოვი თ. ა. მ., *არღუთინსკი-დოლგორუკოვი თ. ნ. ვ., *არღუთინსკი დოლგორუკოვი თ. ნ. ე., არღუთინსკი-დოლგორუკოვი თ. პ. მ., *ბაბაევი ა. ნ., ბაბანასოვი ა. გ., *ბაბანოვი ა. ა., *ბაბოვი ა. ს., *პაბოვი ე. ს., *ბოლგარსკი ვ. ა., *ბუღდანოვი ი. ს., *ბუღდანოვ-ბაღდასაროვი ა. ს., *ვართანოვი ა. ი., *ვერმიშევი ხ. ა., ვეტცელი ფ. კ., *გლავაცკი პ. ა., *გრიქუროვი ნ. ა., *დავიდოვი ე. ა., დანილოვი ე. მ., დეკაპრელოვიჩი ლ. ა., *დოლუხანოვი მ. ი., *დოლუხანოვი მ. რ., *ევანგულოვი გ. გ., *ელიაზაროვი ლ. გ., ეჯუბოვი ა. ე., ენიკოლოპოვი ბ. ზ., *ივანენკო ა. ა., *იზმაილოვი პ. ა., *იოანნსიანი ა. ა., *კანდურალოვი ვ. გ., *კარაპეტოვი ნ. ი., კირაკოზოვი გ. ე., *კოლუბარსკი გ. მ., *ყორღანოვი ვ. დ., *ყორღანოვი გ. გ., *ყორღ ნოვი დ. ზ., *ყორღანოვი ი. ს., *კიუჩარიანცი გ. ა., *ლუნკევიჩი მ. ვ., ნუროვი ე. *მალინინი ია. ი., *მამიკონოვი ა. გ., *მატინოვი ა. ს., *მელიქოვი ი. გ., *მელიქ-აზარიანცი ა. ა., *მელიქ-ბეგლიაროვი ლ. შ., *მელიქ-კარაკოზოვი პ. კ, *მელიქ-ნუბაროვი ს. გ., მელქუმოვი ა. ნ., მილოვი ა. ნ., *ოდნოსუმოვი ა. ი., *ოპოჩინინი პ. ა., *ორბელი დ. ი., ოსტროვსკი იუ. ს., *ოტტენი ფ. კ., *პაშკევიჩი ა. გ. *ფრიდონოვი ა. ფ., *პრიდონოვი ნ. ს., რიდი იუ. იუ., *როტინიანცი მ. დ., *როტინოვი ა. დ., სტეფანოვი გ. ა.,* თაიროვი ი. ა., *თამამშევი ა. მ., *თამამშევი მ. ი., *ტერ- ასატუროვი გ. ბ., ტერ-გუკასოვი ბ. ე., ტერ-ყაზაროვი გ. ა., *თუმანოვი თ. ნ. ა., *თუმანოვი თ. ნ. ზ., ხეჩატუროვი ა. ზ., *ხოსროევი ნ. ბ., *ხუდადოვი ნ. ა., *წერეთელი გ. ე., *წოვიანოვი გ. ე., *წოვიანოვი ი. ი. *წურინოვი ა. ს., *შახ-ბუდაღოვი გ. ე., *შახ-აზიზოვ-კამსარაკან ა. ია., *შახ-პარონიანცი მ. ს., შერშენკო ი. ა., *ენფიანჯიანცი ტ. ა., იუზბაშევი ფ. ი., იაკიმოვი პ. მ., *იარალოვი გ. ზ.

ამ სახით არჩეულ იქმნენ ხმოსნებად 76 კაცი. დანარჩენს ოთხს და აგრეთვე 16 კანდიდატს აარჩევენ, ესრედ წოდებულ, დამატების კრებაზედ.

*) ვარსკვლავი დავუსხით იმათ, ვინც არჩეული იყო ხმოსნად 16 მაისს.

*** გუშინ-წინ, 30 მაისს, მუშტაიდში იყო სეირნობა და ლატარია-ალეგრი ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ხალხმა საკმაოდ ბლომად მოიკრიბა თავი და უფრო ბევრი დაესწრობოდა, რომ მეექვსე საათზე ღრუბლები არ არევ-დარეულიყო და პატარა წვიმაც არ მოსულიყო. მეშვიდე საათზე ღრუბლები მცირედ გაიფანტა, წინწკლაც შესწყდა, მაგრამ, ეტყობა, ბევრი შეაშინა ასეთმა ამინდმა. შარშან და შარშან-წინ, როგორც გვახსოვს, საზოგადოება უფრო ბლომად დაესწრო და შემოსავალიც მეტი იყო მაშინ, ვიდრე წელს. დღევანდელი შემოსავალი, თუმცა ჯერ ცნობაში არ არის მოსული, მაგრამ მაინც, ჩვენის ფიქრით, ორას თუმანზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

*** კვირას, 30 მაისს, კავკასიის დედათა ინსტიტუტში იყო წლიური აქტი. აქტს დაესწრო სხვათა შორის საქართველოს ექსარხოსი მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა ვლადიმირი. აქტზედ წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიში, საიდგანაცა სჩანს, რომ დედათა ინსტიტუტში შემოღებულ იქმნება, როგორც სავალდებულო საგანი, კლასის გიმნასტიკა. ანგარიშიდგანვე სჩანს, რომ გადადებულია 20,000 მან., კოჯორში სააგარაკო შენობის ასაგებად და ეს შენობა მზად იქნება პირველ მკათათვეს. ამ 1893 წელს ინსტიტუტში სულ 238 მოწაფე ყოფილა. ამათში 223 სრულ ხარჯზედ პანსიონში 10 ფასით გარედგან მოსიარულე და ხუთი უფასოდ გარედგანვე მოსიარულე. წელს სწავლა გაუთავებია სულ 26. ამათში ქართველები არიან: ვ. ბოლქვაძის (ვერცხლის მენდლით), კნ. ნ. დადიანისა, ა. იოსელიანისა, მაჩუტაძისა და საგინაშვილისა —ატესტატებით.

ამას გარდა ვ. ბოლქვაძისა დაასაჩუქრეს, როგორც ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანი მუსიკისა.

*** 29 მაისს გათავდა ეგზამენები კადეტთა კორპუსში; მოსწავლენი სააგარაკოდ მიდიან მანგლისში 4 თიბათვეს. კურსი დაამთავრეს სულ 46 კაცმა. მაათში ქართველები არიან 10: ანდრონიკაშვილი გიორგი, იმნაძე ევგენი (სწავლის განგრძობა უნდათ მიხეილის საარტელერიო სასწავლებელში), ყაზბეგი ალექსი, ლაზარაშვილი (I სამხედრო პავლეს სასწავლებელში), მაყაშვილი მიხეილი (II კონსტანტინეს სასწავლებელში), ზედგინიძე გიორგი, რაინაშვილი იოსებ, წიკლაური ნიკო (III ალექსანდრეს სასწავლებელში), აბელიშვილი ვლადიმერ, წულუკიძე ვლადიმერ (ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელში).

გასათავებელ ეგზამენებს იჭერდნენ გარეშენი, ანუ ექსტერნები: ტერ-ასატუროვი, ქილანთარი, თულაშვილი, იპპოლიტოვი ვლადიმირი და ზაქარია ყიფშიძე. მოწმობა მიიღეს მხოლოდ იპპოლიტოვმა და ყიფშიძემ.

*** ჩვენ მივიღეთ ექვთიმე სულამანიძისაგან სამი მან. და გადავეცით „წერა კითხვის გამავრც. საზოგადოებას“ დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „დრამები და კომედიები“, წიგნი პირველი, ბ-ნის ვალერიან გუნიასი. ამ წიგნში დაბეჭდილია: „და-ძმა“, დრ. 5 მოქ., „ჩათრევას—ჩაყოლა სჯობია“, კომ. 1 მოქმედ., და სამი კიდევ სხვა ვოდევილი. ავტორს განუზრახავს, როგორც ეტყობა, დაჰბეჭდოს სხვა დრამა-ვოდევილ-კომედიებიც, იმის მიერ თხზული და გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილი, უფრო პროვინციაში სცენის მოყვარულთა დასახმარებლად. ფასი წიგნისა 50 კაპ.

*** ამას წინად ტფილისის გამგეობამ საბჭოს გარდაწყვეტილებით მიჰმართა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს და სთხოვა დაუგირავებინა 126,000 მანათად საქალაქო სახლი შიოევისეული, რომელიც გოლოვინის პროსპექტზედ არის. ტფილისის სათავად აზნაურო ბანკმა მიჰმართა ფინანსთა მინისტრს და ითხოვა, ნება მოგვეცი, რათა ქალაქს ვასესხოთ ეს ფულიო. ფინანსთა მინისტრმა ამ საქმის გამო მიჰმართა კავკასიის მთავარ-მართებელს, შემატყობინეთ დაწვრილებით, რა საჭიროების დასაკმაყოფილებლად [illegible] ქალაქს ამ ფულის [illegible] და ამ საქმე[illegible] ლო [illegible] თვის ამ ფულის სესხება, თუ არა. კავკასიის მთავარ-მართებელმა აუწყა ამ საქმის გამო ფინანსთა მინისტრს, რომ ქალაქს აქვს ვალი საადგილ-მამულო ბანკისა ამ წლის 1 ივლისამდე 69,022 მანათი 43 კაპ., დასახმარებელ თანხისა 1893 წლის 1 იანვრამდე—15,116 მან. 76 კაპ. და საუნივერსიტეტო თანხისა—29,901 მ. 75 კაპ. სულ 114,040 მანათი 94 კაპ.

*** სამტრედია: 31 მაისს დილის 4 საათზედ, როდესაც სახალხო მატარებელი მოვიდა სადგურზე, დიდ-ძალი თავად-აზნაურობა ჩამოვიდა ქუთაისიდგან. ფოთის მატარებელი რომ უნდა წასულიყო, ხალხში რაღაც ხმაურობა ასტყდა; ამოღებულ ხმლით დადიოდა სენაკის მაზრის მცხოვრები თეიმურაზ ფარულავა. რკინის გზის ჟანდარმმა შენიშვნა მისცა ფარულავას, ხმალი ჩააგეო. ფარულავამ ეს იწყინა და ხელში დასჭრა ჟანდარმი. ჟანდარმმაც ორჯელ ესროლა რევოლვერი და მძიმედ დასჭრა მუცელში. ფარულავა 45 წლისა არის. მორჩენის იმედი არა აქვთ. გამოძიება სწარმოებს.

*** გურია: სოფელს ქვენობანს ბასილეთის სამამასახლისოში 26 მაისს ძლიერ შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ბასილეთის ორ-კლასიან სასწავლებლის შეგირდები: აზნაური გიორგი გოგიბერიძის 16 წლის შვილი ალექსანდრე და გლეხის ლუკა გოგიბერიძის 14 წლის ვაჟი თომა ნაშუადღევს მახლობლად მდებარე ყანის „მოსარებად“ წავიდნენ, თან წიგნები და ბურთი წაიღეს. პირველს მათგანს, აზნაურს ალექსანდრე გოგიბერიძეს, თოფიც თანვე ჰქონდა წაღებული. საღამომდე ყანაში დარჩნენ, ხოლო საღამოს სახლისკენ დაბრუნდნენ. გზაზედ აზ. ალექსანდრე გოგიბერიძეს, როგორღაც თოფი გაუვარდა, საფანტი მოხვდა გლეხ თომა გოგიბერიძეს მკერდის ძირში და სამს საათში სული დალია. გამოძიება სწარმოებს.

---

ნუწყვეტლივ წვრილსა და მსხვილ თევზს აბამდა.

ხარჯის გაწერის დროს ის ყოველთვის ერთ ორმოცთუმნამდის მაინც თავის სასარგებლოდ გააწერდა სოფელს. კერძო ჯარიმებს, რომელსაც სოფლის მოსამართლეები ახდევინებდნენ რაიმე საქმეში დამნაშავე გლეხებს, თავის სასარგებლოდ აკრეფინებდა იასაულებს და დავთრებში სწერდა, რომ ეს ამაზედ დაიხარჯა და ეს ამაზედო; სასოფლო მაღაზია ხომ საკუთრებად გაიხადა.

ვინ ჩამოსთვლის კიდევ, რითი არ სარგებლობდა ისაკა. ისაკასთანა კაცი ყოველთვის დაინახავს სოფელში უპატრონოდ დატოვებულს რამ სარჩოს, რომელსაც თავის სასარგებლოდ იღებს.

ისაკა ჰხედავდა, რომ ხმის გამცემი არავინ იყო, და ამისთვის თავისუფლად ფარფაშობდა სოფელში.

მართლაც და ვინ გაუძლიანდებოდა? გლეხები, რომელთაც შეამჩნიეს ისაკას მრუდობა?. გლეხებმა ყოველთვის იციან, ვინ ჰყვლეფავს იმათ, მაგრამ ხმას ვერ იღებდენ, და ძალა-უნებურად ხმის ამოუღებლივ წინ უწვებიან ცხვრებივით, რომელთაც დუქარდით შიგ ძირში ჰპარსავენ.

რამდენს სულ ტყუილად გარდაახდევინა ვითომ-და იმის მამისა ან ბიძის ვალი.

როდესაც მამასახლისად იყო და სწერდა თამასუქს და დაჰბეჭდა, მოწმებად იმისთანაებს ჩასწერდა, რომლებიც უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ან კიდევ თავის ერთგულ გიგოს და ლევანს, რომლებსაც ცოტაოდენ წილს უდებდა, და სასოფლო „კანცელარიაში“ უჩივლებდა თავის ტყუილ მოვალეს, სადაც, რასაკვირველია, საბუთის წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ და გარდასწყვეტდნენ, რომ მოვალემ ნაღდად ჩააბაროს ისაკას და ამით მშობლების ცოდო კისრიდგან მოიშოროსო.

გლეხები ხმას ვერა სცემდნენ და სხვა მოწინააღმდეგე-კი არავინ იყო.

დუქნის საშუალებით და სოფლის საქმეების ამ გვარ წარმოებით ისაკა ისე გაიჭიკნა, რომ ახლო-მახლო სოფლებში სიმდიდრით აღარავინ სჯობდა. ერთის აოხრებულ აზნაურიშვილის მამული შეიძინა თითქმის სულ მუქთად და ხვნა-თესვას მიჰყო ხელი; „გადაჰჭიმა“ ორ-სართულიანი სახლი, რომლის ოთახები ევროპიულად მოაწყო, და შიგ დაესახლა თავის ცოლშვილით. ევროპიულად მორთო თავის ორი ქალი და ორი ვაჟი-კი სასწავლებელში მისცა, საიდგანაც უფროსი უკვე სწავლა-დაუმთავრებლად დაუბრუნდა შინ და აგერ ჯერ-ჯერობით ნადირობას მიჰყო ხელი, თუმცა ხანდისხან სოფლის საქმეების წარმოებაშიაც ეშველება ხოლმე მამას, რომელიც შემდეგში, რასაკვირველია, ამ საქმეების წარმოებას იმას გარდასცემს, რადგანაც იმისთანაებში დიდს უნარსა და ფხას იჩენს.

თუმცა ისაკას ეხლა აღარა უჭირდა-რა, მაგრამ მაინც წართმევის სურვილი უფრო და უფრო უცხოვლდებოდა და გაუმაძღრობა ემატებოდა.

წართმევის სურვილი თითქმის სენად გარდაექცა ისაკას და ხანდის-ხან ეს ჟინი ისე მოუვლიდა, რომ მზად იყო ყოველივე საშუალება ეხმარნა, ყოველისავე სისაძაგლისთვის ხელი ჩაევლო, ოღონდ-კი წაერთმია ვისთვისმე რამ.

აი ეხლაც იმას—თავის წარსულის მოგონებით გატაცებულს და სიამოვნებით მოცულს—უეცრივ წამოჰკრა ამ ჟინმა და მთელი ტანით შეარყია. მაშინვე მოტრიალდა და აივანზედ აჩქარებით გამოიარა.

უკვე დაბნელებულიყო. აქა-იქ ღრუბლებ შუადგან ვარსკვლავები მოწყენით გამოსცქეროდნენ სოფელს, სადაც მიწყვეტილიყო ადამიანის ხმა და მარტო ხანდის-ხან ძაღლების გაგრძელებული ყეფა-ღა მოისმოდა, და თავიანთ მკრთალის შუქით მიძინებულ სოფელს უფრო ძილს ჰგვრიდნენ.

— ბაბე! წამოიძახა ისაკამ გაჯავრებულის ხმით და კარებს შეჰხედა, საიდგანაც ამ დროს იმისი გასაიავებული ცოლი გამოვიდა.

— ადამიანო, ბალკონზედ რას აკეთებ და შინ არ შამოხვალ?! საყვედურის კილოთი, უთხრა ბაბემ და მიუახლოვდა.

— ბიჭი არ დაბრუნებულა?! სად არის აქამომდის ის ოხერ-ტიელი?!

— რამდენი ხანია, რაც დაბრუნდა!

— მერე, რა თქვა, მოვლენო?

— რას არ...

— აუ-აუ-აუ!.. ამ დროს წამოვარდა კიბეზედ მწოლიარე ბროლია და თავ-პირის მტვრევით დაიწყო ბოხი ხმით ყეფა და გზისკენ გადახტა, საიდაც ორი კაცი გამოჩნდა.

— გადი, გადი!.. დასძახეს იმათ და ჯოხებით ძაღლის გერება დაიწყეს.

— აი შე ვერანავ, შენა!.. გამოდი, გამოდი!.. ყვიროდნენ ცოლი და ქმარი და იმათკენ მიეშურებოდნენ.

ბროლია-კი არ ეხსნებოდა იმათ და ზედა ჰვარდებოდა.

შ. არაგვისპირელი

ვარშავა.

(შემდეგი იქნება)

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი.** გუშინ, 27 მაისს, საღამოს 6 საათზედ, თელავს მობრძანდა ძვირფასი სტუმარი, მისი მაღალ ალმატებულება მთავარმართებელი კავკასიისა, გენერალ-ადიუტანტი ა. ს. შერემეტიევი. საპატიო ყარაული, ადგილობრივი დრუჟინა, ყველა უწყებათა წარმომადგენელნი და ხალხი ელოდდენ მთავარმართებელს მაზრის უფროსის სახლის წინ. ეს ქუჩა სავსე იყო ხალხითა. მთელი ქალაქი აჭრელებული იყო სამ-ფეროვან ბაირაღებით. პირველად მოვიდა ეტლი ადგილობრივის მაზრის უფროსისა და გაჩერდა სახლის წინ. ეტლიდგან გადმოვიდნენ თ. ნ. ჩოლოყაშვილი და თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ი. ჯორჯაძე. მაზრის უფროსმა დაათვალიერა ქუჩა და, რა შენიშნა ჯგუფად მდგომნი ქვრივ-ობოლნი, რომელთაც ხელში არზები ეჭირათ, გამოუცხადა, რომ ხვალ დილით მიიღებს მთავარმართებელი მთხოვნელებსაო. ზედდატანებით მოვიდა ოთხი ეტლიცა. პირველ ეტლიდგან გადმობრძანდა მთავარმართებელი და ტფილისის გუბერნატორი თ. გ. შერვაშიძე, დანარჩენ ეტლებიდგან გადმოვიდა ამალა მთავარმართებლისა. მთავარმართებელმა მიიღო საპატიო ყარაული, მიესალმა ადგილობრივ დრუჟინას, ჩამოუარა უწყებათა წარმომადგენელთ ხმა მაღლა გამოაცხადა, რომ მიიღებს მთხოვნელებს დილით რვა საათიდამ ცხრამდის და შებრძანდა სახლში. გუბერნატორი და ამალა მთავარმართებლისა მოთავსებულნი იყვნენ მოქალაქე გასპარტერ-სარქისოვის სახლში. გულგულის და ვარდისუბნის საზოგაოებათა გზაზედვე მიურთმევიათ მთავარმართებლისათვის თხოვნები. ორსავე სოფლის საზოგადოებას, როგორც გავიგეთ სარწმუნო კაცთაგან, აუხსნიათ გაჭირვებული მდგომარეობა შარშანდელ მოუსავლობის გამო და უთხოვნიათ: 1) სესხათ მოგვეცეს ის ფული, რომელიც ჩვენის საზოგადოების სახელობაზედ შენახულია ხაზინაშიო, და 2) გვეპატიოს მდგომარე 1893 წლის სახელმწიფო გადასახადიო. ამათთვის მთავარმართებელს უბრძანებია, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, შევასრულებ თქვენს თხოვნასაო.

28 მაისს, დილის რვა სათიდგან, მთავარმართებელმა მიიღო მთხოვნელები. ქვრივ-ობოლნი, რომელნიც დახმარებასა სთხოვდნენ, ყველანი დაკმაყოფილებულ იქმნენ მაშინათვე, დაურიგდათ თვითოს 3 მანეთამდე. აქვე მიართვა თხოვნა რუისპირის სოფლის საზოგადოებამ, ახატლისამ და კურდღელაურისამ. ესენიც იმასვე თხოულობდნენ, რასაც ვარდისუბნის და გულგულის სოფლის საზოგადოებანი. ამათ გარდა კიდევ კერძო პირთაგან მირთმეული იყო ბევრი თხოვნა ბევრმა მათგანმა მოახსენა გულ-ახდით ყველა ის, რასაც აქნობამდის ნისლი ჰქონდა გადაფარებული. შემდეგ წარსდგა თავად-აზნაურთა წინამძღოლი შვიდ თუ რვა თავად-აზნაურით. ამათ სხვათა შორის მთავარმართებელმა ჰკითხა: მართალია შიმშილობაა კახეთში, თუ ტყუილიაო? ამ კითხვამ მცირე ხნით დუმილი ჩამოაგდო და შემდეგ ორთა სთქვეს მართალია, პურის ნაკლებობა არის, მაგრამ ძლიან საგრძნობელი ნაკლებობა-კი არ არისო. ორთ-კი მოასხენეს, რომ ნამდვილი შიმშილობაა კახეთში, ხალხი გაჭირვებული იყო მალახით ესაზრდოებინა თავი და დღესაც ძლიან გაჭირვებულია უპურობის გამო. მოქალაქენი ხომ ყველაზე კარგა მოიქცნენ: სწორედ იმ დროს მივიდნენ, როცა ნახვა აღარ შეიძლებოდა. ამათ „მამიდაცა ნახეს და კვიციც გახედნესო“, სანახავადაც მივიდნენ და პირის-პირ ლაპარაკიც არ მოუხდათ, არავის საწყენი არა წამოსცდათ რა. ესენი ახლა ალიასაც და მუსიასაც ერთსა და იმავე პასუხს ეუბნებიან: „თუ შევსულიყვით, ველაპარაკებინეთ, სწორეთ თქვენ მოსაწონს მოვახსენებდითო. შემდეგ მთავარმართებელი წაბრძანდა ადგილობრივის დრუჟინის სადგომში. აქ მთელი დრუჟინა დახვდა საალყუმოდ მომზადებული. აქედგან წამობრძანდა და დაიარა სასწავლებლები: სამოქალაქო სასწავლებელი, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი და სასულიერო სასწავლებელი. უკანასკნელში ამ დროს სალმრთო სჯულიდამ იყო დანიშნული გამოცდა, რომელზედაც დილიდამვე დაესწრო მისი მეუფება ბესარიონი-ეპისკოპოზი ალავერდისა. ამ გამოცდაზე შებრძანდა მთავარმართებელიც გუბერნატორით და ამალით და თითქმის ორმოცი წამი დაჰყო. სამი მოსწავლის გამოცდა მოისმინა და კმა-ყოფილი დარჩა მოსწავლეთა თამამის პასუხებითა.

მეთორმეტე საათზე წაბრძანდა სიღნაღისაკენ. გზაზედ ინახულებს საუფლისწულო მამულის სასახლესა. როგორც ამბობენ, სადილად შერემეტიევის სასახლეში დარჩება ს. კარდენახს. 29 ს. აქ მოელიან გუბერნატორსა, რომელიც დაბრუნდება გუბერნიის საზღვრიდგან და იმედი აქვთ, ზოგიერთ საჩივარს გარემოებანი ადგილობრივ შეამოწმოს.

ნადიკვრელი

**დ. ზესტაფონი.** მაისის 19 აქაურის ფილოქსერა-მოდებულ ვენახების გასასინჯად ქუთაისიდგან ამოვიდნენ ვენგრიელი სწავლული ბ-ნი ჰოვარტი და ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი მელიქიშვილი. მოველოდით მათთან ერთად ბ-ნთ მარიონსა და კოვალევსკის, მაგრამ ზოგიერთთა მიზეზების გამო ეს უკანასკნელნი მეორე დღემდე არ ამოსულან. ორივენი ბ-ნ ნ. ლოლობერიძის სტუმრები იყვნენ. საღამოს ჟამს ფილოქსერის დასთა ექსპერტების თანადასწრებით გასინჯეს საქარის საჩქოლე (ПИТОМНИКЪ). ხოლო მეორე დილას ცხენებით სვირის ვენახების დასათვალიერებლად გაემგზავრნენ.— ნაშუადღევის სამს საათზედ ქუთაისიდგან ბ-ნნი მარიონი და კოვალევსკიც ამოვიდნენ. ისინიც ბ-ნ ნ. ლოლობერიძესთან იყვნენ მოპატიჟებულნი. მეორე დღეს დილით ორთავემ წინა დღით ბ-ნი ჰოვარტისა და მელიქიშვილის მიერ გასინჯული საქარის საჩქოლე ინახულეს. პატივცემულმა სწავლულებმა ამ გულმოდგინე დაკვირვებისაგან ის სამწუხარო აზრი გამოიტანეს, რომ შორაპნის მაზრაში ფილოქსერასთან ბრძოლაზე მკვიდრთ ხელი უნდა აიღონო; სჯობს ვაზის მაგივრად სხვა რამ სასარგებლო მცენარის მოშენებას შეუდგნენო.

ამ თთვის 20 ორივე სწავლული ქალაქს გამოემგზავრნენ, სადაც სამეურნეო საზოგადოებაში თავიანთი აზრი უნდა წარმოეთქვათ ფილოქსერასთან ბრძოლის შესახებ ჩვენში.

**

ამ სპეციალ საკითხს გარდა, ეტყობოდა, ჩვენის უცხოელ სტუმრების ყურადღებას ბევრი რამ იპყრობდა, ბევრი რამ ეინტერესებოდათ. ქუთაისში ყოფნის დროს უნახავთ გელათიც სწორედ იმ დროს, როცა შიგ წირვად მდგარან. მთელის წირვის საგალობელი მარიონს ნოტებად გადაუღია. უყიდნიათ სხვა-და-სხვა ნივთები, რასაც თავისებური ხასიათი ჰქონოდა, მაგ., დოქები, ქართული ცხენის ნალი და ბევრი რამ სხვა. აქაურ ბუნების, ადგილ-მდებარეობის სიმშვენიერეს ხომ ორთავე აღტაცებაში მოჰყავდა. სულ იმას გაიძახოდნენ: „ნეტავი ასეთ ქვეყნის პატრონთაო“. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ორთავეზე აგრეთვე აქაურ მკვიდრთა განსაკუთრებით მდედრობითის სქესის სილამაზეს, „თუმცა,—სთქვა ჰოვარტმა,—ერთმა ლამაზმა ქალმა, ცოტა არ იყოს, გული გვატკინაო“. ორივე მარიონი და ჰოვარტი ერთს საკმაოდ ცნობილს ოჯახში სტუმრად ყოფილან. მასპინძლის ქალი სტუმრებს გამოჰბაასებია და ცდილა გარეგან სილამაზესთან შინაგანი სილამაზეც გამოეჩინა. იმ ქალაქს, სადაც ისა სცხოვრობდა, იმ ერს, რომელსაც ის ეკუთვნოდა, და იმ ენას, რა ენაც მას თავის სამშობლო ენად უნდა ჩაეთვალა, „თავისის ლამაზის ტუჩებით“,—როგორც ჰოვარტმა სთქვა, ცუდად ხსენება დაუწყო თურმე. მე უნდა პარიჟსა ან პეტერბურგში ვიყვე, იქაურს მაღალს საზოგადოებაში ვტრიალებდე და არა ამ „ველურებშიო“. „ლამაზო ქალო,—უთხრა თურმე მარიონმა,—ჩემ დროულ კაცს ბევრი რამ დაეჯერებაო. იმისთანა მხარეს, სადაურიც თქვენა ბრძანდებით, თავის სამშობლოდ ყველა ინატრებდა და ამას დამცირებად-კი არა, ბედნიერებად ჩასთვლიდა. მე თუ მკითხავთ, იმ აზრისა გახლავართ, რომ მამულიშვილის სახელს ღირსეულად ის კაცი უფრო ატარებს, ვინც მამულს გაჭირვების დროს არა ჰღალატობს, თორემ, რა ბრძანებაა, ლხინის დროს ხომ მტერიც მოყვარეა. გარდა ამისა—სამშობლოს არ გამტანს მტერიც არ გაიტანს“. ერთის სიტყვითაო,—სთქვა ჰოვარტმა, ამ საგანზედ იმდენი ვილიპარაკეთ, რომ ბოლოს ეს ლამაზი ქალი, თავისებურის ყველაფრის უარმყოფელი, პიანინეს მოუჯდა, ლამაზის თითებით დაუკრა და ლამაზის პირით ერთი ლამაზი ქართული სიმღერა გაგვაგონაო. ვერ წარმოიდგენთ ჩვენს გახარებასა, როცა ჩვენმა სიტყვებმა ასეთი სასურველი მოქმედება მოახდინაო!—დაასრულა თავისი ლაპარაკი სახე გაბრწყინებულმა პატივცემულმა ჰოვარტმა... იმათთვის, ვისაც გაგონება სურთ, რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა...

## კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811 წ.) *)

**დოროთეოს**—1355—1372 წ. „მოკვდა კათალიკოზი ბასილი, დასვა (დავით მეფე VII) კათალიკოსად დოროთეოს“. (ქ.-ცხ. 451 გვ. ვახ. ისტ. 281 გვ.).

**შიო**—1360—1374 წ.

**გიორგი**—1374—1392 წ. „ხოლო მოკვდა კათალიკოზი დოროთეოს და ამან მეფემან (ბაგრატ V) დასვა გიორგი“ (იხ. ვახ. ისტ. 282 გვ. ქ.-ცხ. 462 გვ.).

**ელიოზ** (1392—1402 წ.) გობირახის ძე. თემურლანგმა რომ ტფილისი აიღო და ქართლის მოსაოხრებლად წავიდა, ელიოზი ივლტოდა მთაში (იხ. Гуджаръ 102 გვ.). ელიოზი იმყოფებოდა შურდიაშვილ ვირშელთან ბეხუშის (?) ციხეში (Древ. Тиф. 137 გვ. და ქ.ცხ. 453). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ „გუჯრები“, დ. ფურცელაძისაგან გამოცემული, სავსენი არიან შეცთომებით და დიდის სიფრთხილით უნდა იხმაროს, ვისაც-კი დასჭირდება და ისარგებლებს მაგ წიგნით.

**მიქელ**—1402—1406 წ. ამა მიქელს აძლევს ხელწერილს მორჩილებისათვის მაწყვერელ მთავარ-ეპისკოპოსი გერასიმე; აჰა თვით იგი ხელწერილი: „ესე წიგნი გკადრე და მოგახსენე თქვენ წმინდასა და ქრისტეს მიერ კურთხეულსა, მთავართ-მთავარსა ქართლისა კათალიკოზსა მიქაელს, მასჟამსა, ოდეს მცხეთას მოვედი და მაკურთხეთ, აწ ესე წიგნი მე მაწყვერელ მთავარ-ეპისკოპოსმან გერასიმე, მოგახსენე და ვინცა შემდგომად ჩემსა მაწყვერელნი იყვნენ და როგორც ამას წინად მეფეთა მლოცველნი და თქვენი მომხსენებელნი და ერთგულნი ყოფილან, ყოვლად იმავე წესით მეფეთა მლოცველნი ვიყვნეთ და თქვენი მომხსენებელნი, არც ანტიოქიისა პატრიარქი მოვახსენოთ, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ“ (ვახ. ისტ. 286 გვ.).

დავით 1407—1415 წ. „მოკვდა კათალიკოზი მიქელ და დაჯდა დავით“ (ქ ცხ. 473 გვ.).

**ელიოზ**—1415—1417 წ. „და მიიცვალა კათალიკოზი დავით და დაჯდა ელიოზ“ (ქ-ცხ. 473 გვ.).

**თეოდორე**—1418—1428 წ. „და მიიცვალა კათალიკოზი ელიოზ და დაჯდა თეოდორე“. ამან ჩამოართვა ხელწერილი მორჩილებისათვის სერაფიონ მაწყუვერელს (იხ. Мухет. Акт. 234 გვ.).

**შიო**—1430—1447 წ. მოხსენებულია დავით გარეჯის გუჯარში № 2. (იხ. „ივერია“ № 72, 1893 წ. ქ—ცხ. 443 და 445 გვ.).

**დავით** (1448—1457) წ. იყო ძე მეფის ალექსანდრესი. „მოკვდა კათალიკოზი შიო და დაჯდა კათალიკოზად ძე მეფისა ალექსანდრესი დავით“ (ქ—ცხ. 475 გვ., ვახ. ისტ. 304 გვ.).

დავითი ამის წინ ტფილელად იყო, (გუჯ. 104 გვ.). ბერად შედგა 1419 წ. ყვარყვარე ათაბაგის (1451—1466 წ.) შუამავლობით დავითმა აკურთხა ქერაბიმი ანჩის ეპისკოპოსად. ვგონებ, იმერეთის მეფის ბაგრატის (+1455—1478 წ.) მძლავრებისა-გამო ესე დავითი გადაყენებულ იქმნა 1457 წ., რადგან 1472 წ. ისევ იხსენიება და ამოწმებს წარწერას ქსნის ერისთავიანთ გუჯარზედ მათე სამთავნელთან ერთად. ამ დროს დავითი და ბაგრატი შერიგებულნი არიან (იხ. ვახ. ისტ. 340 შენიშ. დ. ბაქრაძ.).

**მარკოზ**—1458—1467 წ. ამოწმებს ქსნის ერისთავიანთ გუჯარს 1360 წ., როგორც კათალიკოზი, მეფე გიორგისაგან მიცემულს (ვახ. ისტ. 340 გვ.). მოხსენებულია აგრეთვე „ჟურულიანთ გუჯარში“ (იხ. „ივერია“ 1886 წ. № 124, „Гуджар. 105 გვ.).

პ. ცხვილოელი

*) იხ. „ივერია“, № 111.

## წვრილი ამბავი

7 მაისს კოლფას კუნძულის მახლობლად მდინარე მასისიპზე ერთი უბედურება დატრიალდა. დილის 7½ საათს გასკდა ქვაბი ორთქლ-მავალისა. რამდენიმე კაცი დაამდუღრა, ხუთი ნავოსანი და რამდენიმე არაბი სულ დაიფუფქა. კარ მეიერი (ცინცინატის მცხოვრები) და რამდენიმე სხვა შიშისაგან წყალში გადაცვივდნენ: 16 კაცი ძლიერ დაშავებულია. 22 კაცი დაშავებულები მეორე გემზედ გადასხეს და შეერთებულ შტატებში გაგზავნეს სამკურნალოში. ამათშიაც ოთხი გარდაიცვალა. ძლიერ საეჭვოა, რომ დანარჩენი 18 კაციდგან 8 მაინც გადარჩეს.

— 28 მაისს პარიჟში დიდის ანბით აკურთხეს მეგლი გარიბალდისა. კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. იყვნენ აგრეთვე 150 საზოგადოების წარმომადგენელნი,

— ამ დღეებში ტუნისში აკურთხეს პორტი. მართალია ტუნისი აქამომდეც ზღვის-ნაპირი ქალაქი იყო და თითქმის პორტობას ეწეოდა, მაგრამ ისე თავისუფალი მისვლა-მოსვლა არ შეიძლებოდა, რადგანაც ტუნისი ბაგირის ტბის ნაპირას არის და ეს ტბა გაყოფილი იყო ზღვისაგან პატარა ყელით. ეს ყელი გასჭრეს და ბაგირის ტბა შეაერთეს ხმელთა-შორის ზღვას. ეხლა გემები თავისუფლად მოძრაობენ ამ არხში და უფრო ადვილებენ საალებ-მიცემო მისვლა-მოსვლას ტუნისში. ეს არხი გასჭრა „ბატინიოლის საზოგადოებამ“. ამ არხის გაჭრა და ტუნისის ნავთა სადგურის გაკეთება დაჯდა სულ 13,160000 ფრანკი.

— ერნესტ რენანს ძლიერ ეჯავრებოდა თურმე უადგილო ლაპარაკი და უზრდელობა. ერთხელ ის სადილად მიიპატიჟეს. იქავე იყო მიპატიჟებული მანდილოსანთა საყვარელი ფელეტონისტი კარო. სადილზედ ბაასი ჩამოვარდა. კარო დიდის მჭევრ-მეტყველებით უმტკიცებდა რენანს, რომ შენა სცდებიო. რენანმა შუა ლაპარაკში ხელი აიქნია, თითქოს იმის ნიშნად, რომ მაქვს რამე სათქმელიო, და ამით უნდოდა გაეწყვეტინებინა უბედობა. ერთს წუთს, ერთს წუთსაც მომითმინეთ და მერე შეგიძლიან მიპასუხოთო“, უთხრა კარომ. როცა კარომ დაამთავრა თავისი „რეჩი“ დიასახლისი მიუბრუნდა რენანს „აბა, ბრძანეთ, რასაც გნებავთო.“—„სამწუხაროდ, ბატონო, მიუგო რენანმა—ძლიერ დაგვიანებულია პასუხი და თავის დანიშნულებას ვერ აასრულებსო“. მაინც აუტეხნენ, გინდა თუ არა, უნდა სთქვაო. „მე მსურდა თქვენთვის—მიუბრუნდა რენანი დიასახლისს—მეთხოვნა, არ შეიძლება ერთი კოვზი წვნი მიბოძოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## [წე]რილი რედაქციის მიმართ

[გთხ]ოვთ გვიბოძოთ, რომ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც საზოგადოდ ყველა ქუთაისელებულთა, ისე განსაკუთრებით ბანიკოლოზ სოვარიდონის მე ქუთასის, რომლის თაოსნობით დაბა[...]ლაში შეკრებილი ოცდა-თორმეტი მანეთი და სამი აბაზი ჩვენ მაგიერ ქუთაისის საკვირაო სკოლის ღარიბ მოსწავლეთათვის სასწავლო ნივთების სასყიდლად შემდეგთაგან: ილიკო კაკაბაძემ 2 მან., [...] კალანდაძემ 3 მ., № 1 მ., ნესტორ [...]ძემ 1 მ., კოლა ქუთათელაძემ. 3 მ., [...]ან დეისაძემ. 1 მ., ქრისტო სანაძემ [...], ყარამან გაჩეჩილაძემ 30 კ., იო[...] კაკაბაძემ 3 მ., მარკოზ გვარამიამ [...], მაქსიმე დეისაძემ 2 მ., გიორგი [...]სიანმა 1 მ., ნიკოლოზ ნიორაძემ [...], სოლომონ მოდებაძემ 1 მ., სევასტი [...]ლაძემ 2 მ., გიორგი ნიორიძემ [...], ალექსანდრე კაკაბაძემ. 1 მ., [...] გაჩეჩილაძემ 1 მ., ილიკო ყაჭეიანმა [...], სვიმონ სვანიძემ. 1 მ., ნიკო[...]ელმა 3 მ., იორამ გაჩეჩილაძემ [...], ბეგლარ ქართველიშვილმა. 1 მ.

[გ]ამაარსებელი ქუთაისის საკვირაო სკოლისა.

ქ. ქუთაისი
1893 წელს 29 მაისს.

## დეპეშა

29 მაისი

[პ]ეტერბურგი გაზეთი „Бирж. [...]“ ამბობს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს 4 გუბერნიაში არაყის მონოპოლია შემოიღოს 1895 წლის [იანვ]რიდგან. ამ საქმისთვის გადადებული იქმნება 700,000 მანათი. [მონ]ოპოლიის პროექტს სახელმწიფო [საბჭ]ო 31 მაისს განიხილავს.

[სო]ფია. პრინცი ფერდინანდი დაბრუნდა. სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ვაგზალზედ დახვდნენ, საფრანგეთისა, გერმანიისა [და სე]რბიის წარმომადგენელთ გარდა.

30 მაისი

[პ]ეტერბურგი. ფინანსთა სამინისტროს თანაშემწედ დანიშნულ იქმნა წმ. [ვლა]დიმირის უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტიკურ-ეკონომიის და სტატისტიკის დოქტორი ანტონო[ვიჩი].

### [პეტ]ერბურგის ბირჟა, 25 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| [...]ნახევარიანი ოქრო . | 7,53 | 7,60 | — „ |
| [...]ნის კუპონები . | 150 3/4 | 151 1/2 | — „ |
| [...]იანი ვერცხლის [...]ლი . . . . | 1,01 | 1,13 | — „ |
| პირველის შინაურ სესხის ბილეთები [...]ეთი . . . | — „ | — „ | 245 3/4 |
| [...]რისა . . . . | — „ | — „ | 222 3/4 |
| მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| [...]ამწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომფურცელი | — „ | — „ | 194 1/2 |
| [...]ვნობის ფურცელნი [...]ლისის ბანკისა: | | | |
| [5%] . . . . . | — „ | 101 | — „ |
| [5%] . . . . . | — „ | 100 1/4 | — „ |
| [...]სის ბანკისა 6%. | — „ | 101 | — „ |
| [6%] . . . . . | — „ | 100 1/4 | — „ |
| [5%] ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — „ | - . |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. აღს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

### ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

### ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

### ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## განცხადებანი


### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—59)



„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II, III და IV ტომი თითო ტომი. | 1 | 40 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ.ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელლო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |



## პირველი კერძო საავადმყოფო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

ლ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი საავადმყოფოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.






ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

### ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—14) ალ. თუთაევი



## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ვენახების, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება ყოველ ზემოხსენებულის სეტყვისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოებას წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ვერიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღია დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—37) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი


Доз. ценз. Тифлисъ, 31-го Мая 8913 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე